N გ-22-06/2428
18/10/2022

2428-გ-22-06-2-202210181628

სს ,,სილქნეტს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2022 წლის 20 ოქტომბერს, 15:00 საათზე** გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება სს ,,სილქნეტის“ განცხადება (07.10.2022 Nშ-22-6/3699) წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია